ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲓᲝᲙᲘᲜᲡᲘ

RICHARD DAWKINS

# ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲓᲔᲚᲣᲖᲘᲐ

# THE GOD DELUSION

თარგმანი ინგლისური ენიდან
ეკუთვნის მამუკა ჩახვაშვილს

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2024

Copyright © 2006 by Richard Dawkins.
Preface © 2008 by Richard Dawkins.
ALL RIGHTS RESERVED.

მთარგმნელი: მამუკა ჩახვაშვილი
სამეცნ. რედ.: კახა მჭედლიშვილი
კორექტორი: ნინო ჯავახიშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2024
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-6599-2

# სარჩევი


წიგნის/ავტორის შესახებ....7
შეფასებები....8
რიჩარდ დოკინსის სხვა ნაშრომები....11
რბილყდიანი გამოცემის წინასიტყვაობა....12
წინასიტყვაობა....25
მიძღვნა....35

თავი I: ღრმად რელიგიური ურწმუნო....37

დამსახურებული პატივისცემა....37
დაუმსახურებელი პატივისცემა....49

თავი II: ღმერთის ჰიპოთეზა....62

პოლითეიზმი....64
მონოთეიზმი....70
სეკულარიზმი, დამფუძნებელი მამები და....73
რელიგია ამერიკაში....73
აგნოსტიციზმის სიღარიბე....84
NOMA....95
ლოცვის დიდი ექსპერიმენტი....104
ნევილ ჩემბერლეინის სახელობის ევოლუციის სკოლა....110
პატარა მწვანე კაცუნები....115

თავი III: არგუმენტები ღმერთის არსებობის სასარგებლოდ....122

თომა აკვინელის „მტკიცებულებები“....122
ონტოლოგიური და სხვა აპრიორი არგუმენტები....126
სილამაზის არგუმენტი....133
პირადი „გამოცდილების“ არგუმენტი....135
წმინდა წერილის არგუმენტი....142

ავტორიტეტული რელიგიური მეცნიერების არგუმენტი....149
პასკალის ფსონი....157
ბაიესის არგუმენტები....160
ᲗᲐᲕᲘ IV: ᲠᲐᲢᲝᲛᲐᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ....166
ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ....166
სრულყოფილი ბოინგ 747....166
ბუნებრივი გადარჩევა,....169
როგორც ცნობიერების ამამაღლებელი....169
უკლები კომპლექსურობა....175
ნაპრალთა განდიდება....184
ანთროპული პრინციპი: პლანეტარული ვერსია....197
ანთროპული პრინციპი: კოსმოლოგიური ვერსია....207
წარმოდგენა კემბრიჯში....220
ᲗᲐᲕᲘ V: ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ....232
დარვინის იმპერატივი....232
რელიგიის პირდაპირი უპირატესობები....238
ჯგუფური გადარჩევა....242
რელიგია, როგორც სხვა რამის გვერდითი მოვლენა....245
ფსიქოლოგიური მიდრეკილება რელიგიისკენ....255
ფრთხილად იარე, ჩემს მიმებს არ დააბიჯო....271
კარგოს კულტები....285
ᲗᲐᲕᲘ VI: ᲛᲝᲠᲐᲚᲘᲡ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ: ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲐᲠᲗ ᲙᲐᲠᲒᲔᲑᲘ?....293
აქვს თუ არა მორალურობას დარვინისტული საწყისი?...298
მორალის ფესვების გულმოდგინე გამოკვლევა....309
რატომ მოვიქცეთ კარგად,....315
თუკი ღმერთი არ არსებობს?....315
ᲗᲐᲕᲘ VII: „ᲬᲛᲘᲜᲓᲐ" ᲬᲘᲒᲜᲘ ᲓᲐ ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲘ....326
ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ *ᲪᲐᲘᲢᲒᲔᲘᲡᲢᲘ*....326
ძველი აღთქმა....327
არის თუ არა ახალი აღთქმა რამით უკეთესი?....344
გიყვარდეს მოყვასი შენი....350

მორალური *ცაიტგეისტი*......................................................................362
ჰიტლერსა და სტალინზე რას იტყვით?.....................................374
ისინი ხომ ათეისტები იყვნენ?...................................................374
თავი VIII: რა არის ცუდი რელიგიაში? რატომ ესხმით თავს?..385
ფუნდამენტალიზმი და მეცნიერების დამხობა..................387
აბსოლუტიზმის ბნელი მხარე...................................................393
რწმენა და ჰომოსექსუალობა....................................................397
რწმენა და ადამიანის ცხოვრების ხელშეუხებლობა......401
დიდი სოფიზმი ბეთჰოვენზე.......................................................411
როგორ წარმოშობს „ზომიერი“ რწმენა ფანატიზმს.......416
თავი IX: ბავშვობა, ბავშვებზე ძალადობა.................................426
და რელიგიისგან თავის დაღწევა............................................426
ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა.......................432
ბავშვების დასაცავად.................................................................446
საგანმანათლებლო სკანდალი..............................................454
კიდევ ერთხელ ცნობიერების ამაღლებაზე.......................464
რელიგიური განათლება, როგორც.......................................468
ლიტერატურული კულტურის ნაწილი.................................468
თავი X: ასე საჭიროა ნაპრალი?...............................................474
ბინკერი...........................................................................................475
ნუგეშისცემა..................................................................................481
შთაგონება.....................................................................................494
ბურკათა შორის ბურკა..............................................................496
დანართი.........................................................................................515
ციტირებული ან სასარგებლო წიგნები...................................522
გამომცემლობა „აქტის“ მიერ გამოცემული წიგნები.........................533

*ღმერთის დელუზია* ჩვენი დროის საკულტო საერთაშორისო ბესტსელერად იქცა. რიჩარდ დოკინსს თავდაპირველი პოპულარობა მოუტანა *ეგოისტმა გენმა*, რასაც მოჰყვა ბესტსელერი წიგნების სერია: *განვრცობილი ფენოტიპი, ბრმა მესაათე, ედემიდან გამომავალი მდინარე, ასვლა არასარწმუნო მთაზე, ცისარტყელას დაშლა, წინაპრის ამბავი* და მცირე ზომის ნაწარმოებთა კრებული *ეშმაკის კაპელანი.* მისი ბოლო წიგნია *რეალობის მაგია.*

დოკინსი როგორც ლონდონის სამეფო საზოგადოების, ისე ლიტერატურის სამეფო საზოგადოების წევრია. მას მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მათ შორის – ლიტერატურის სამეფო საზოგადოების ჯილდო (1987 წ.), ლონდონის სამეფო საზოგადოების მაიკლ ფარადეის სახელობის ჯილდო (1990 წ.), საერთაშორისო კოსმოსური პრემია ადამიანის კვლევის მეცნიერებებში განხორციელებული მიღწევებისთვის (1997 წ.), კისტლერის პრემია (2001 წ.), შექსპირის სახელობის პრემია (2005 წ.), ლუის ტომასის სახელობის ჯილდო მეცნიერების შესახებ წერისთვის (2006 წ.) და ბრიტანული ლიტერატურული დაჯილდოების – „გალაქსის“ წლის ავტორის პრემია (2007 წ.). დოკინსი 2008 წელს გადადგა ოქსფორდის უნივერსიტეტის ჩარლზ სიმონის სახელობის პროფესორის თანამდებობიდან – მეცნიერების შესახებ საზოგადოების ინფორმირების დარგში და დღემდე ოქსფორდის ახალი კოლეჯის სამეცნიერო საზოგადოების წევრად რჩება.

# რბილყდიანი გამოცემის წინასიტყვაობა

*ღმერთის დელუზიის* მყარყდიანი გამოცემა ფართოდ შეფასდა, როგორც 2006 წლის მოულოდნელი ბესტსელერი. წიგნს თბილი გამოხმაურებები მოჰყვა იმ ადამიანთა უმეტესობისგან, რომლებმაც ამაზონზე პირადი განხილვები გაგზავნეს (წერის მომენტში განხილვათა რაოდენობა 1000-ზე მეტია). თუმცა ბეჭდური ფორმით გამოქვეყნებულ შეფასებებში მოწონება უფრო ნაკლებად იგრძნობოდა. ცინიკოსი ადამიანი ამას განხილვების რედაქტორთა წარმოსახვის ნაკლებობით ახსნიდა: წიგნს სათაურში „ღმერთი" ურევია, ამიტომ შესაფასებლად ვინმე ღრმად რელიგიურ ადამიანს გავუგზავნოთო. თუმცა ეს მეტად ცინიკური იქნებოდა. რამდენიმე უარყოფითი განხილვა იწყებოდა ფრაზით, რომელსაც დიდი ხანია, ავისმომასწავებლად ვთვლი: „ათეისტი ვარ, მაგრამ..." როგორც დენიელ დენეტმა აღნიშნა წიგნში *ჯადოს მოხსნა*, წარმოუდგენლად დიდი რაოდენობის მოაზროვნე ადამიანებს „სწამთ რწმენის", მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური რწმენის დეფიციტი აქვთ. ეს ირიბი მორწმუნეები ხშირად უფრო მეტად ფანატიკოსები არიან ხოლმე, ვიდრე ნამდვილი მორწმუნეები, მათ ფანატიზმს ასაზრდოებს მლიქვნელური ფართო თვალსაწიერი: „სამწუხაროდ, თქვენს რწმენას არ ვიზიარებ, მაგრამ პატივს ვცემ და მის მიმართ კეთილგანწყობილი ვარ".

„ათეისტი ვარ, მაგრამ..." ფრაზის გაგრძელება თითქმის ყოველთვის უსარგებლო, ნიჰილისტური ან უარესია — მოზეიმე ნეგატიურობით გაჟღენთილი. სხვათა შორის, ყურადღება გაამახვილეთ

# წინასიტყვაობა

ბავშვობაში ჩემს ცოლს სძულდა სკოლა და ერთი სული ჰქონდა, მიეტოვებინა. წლების შემდეგ, როცა ოცი წლის ასაკს გადააბიჯა, ეს უსიამოვნო ფაქტი მშობლებს გაუმხილა, რამაც დედამისი განაცვიფრა: „კი მაგრამ, ძვირფასო, რატომ არცერთხელ არ მოხვედი და არ გვითხარი?“ მსურს, დღეს საუბრის თემად ვაქციო ლალას პასუხი: „არ ვიცოდი, რომ შემეძლო“.

*არ ვიცოდი, რომ შემეძლო.*

ვეჭვობ – უფრო სწორად, დარწმუნებული ვარ – რომ მსოფლიოში უამრავი ადამიანია, რომლებსაც ბავშვობიდან ჩაუნერგეს რომელიმე რელიგია და ამის გამო უბედურები არიან, არ სწამთ ამ რელიგიის ან მისი სახელით ჩადენილი ბოროტება ანაღვლებთ. ადამიანები, რომლებსაც ძალიან უნდათ მშობლების რელიგიის მიტოვება და სურთ, რომ შეეძლოთ, მაგრამ ვერ იაზრებენ, რომ რელიგიის უარყოფა არჩევანია. თუ თქვენც ერთ-ერთი მათგანი ხართ, ეს წიგნი თქვენთვისაა. მისი მიზანია, აგიმაღლოთ ცნობიერება – ცნობიერება იმ ფაქტისადმი, რომ ათეისტად ყოფნა გაბედული და ბრწყინვალე სწრაფვაა რეალობისკენ. თქვენ შეგიძლიათ იყოთ ათეისტი, რომელიც ბედნიერი, გაწონასწორებული, მორალური და ინტელექტუალურად სრულყოფილი პიროვნებაა. ეს ჩემი პირველი გზავნილია ცნობიერების ამაღლების სფეროში. ასევე მსურს ცნობიერების ამაღლება სამ სხვა საკითხში, რომლებსაც ქვემოთ შევეხები.

2006 წლის იანვარში ბრიტანულ ტელეარხზე (მეოთხე არხი) წარვადგინე ჩემი ორსერიიანი დოკუმენტური ფილმი სახელად

*ეძღვნება დაგლას ადამსის ხსოვნას (1952–2001)*

„განა ისე ვერ აღიქვამ ბაღის მშვენიერებას,
თუ არ დაიჯერე, რომ მასში ფერიები იმალებიან?“

# თავი I
# ღრმად რელიგიური ურწმუნო

*სულაც არ ვცდილობ, პიროვნული ღმერთი წარმოვიდგინო. ჩემთვის საკმარისია სამყაროს საოცარი სტრუქტურა, რამდენადაც შესაძლებელია მისი საოცრების აღქმა ჩვენი შეზღუდული შეგრძნებებით.*

ალბერტ აინშტაინი

## დამსახურებული პატივისცემა

ბიჭი ბალახებშია გართხმული, ნიკაპით ხელებს ეყრდნობა. მოულოდნელად მის თვალწინ აბურდულ ღეროებსა და ფესვებში მინიატურული ტყე გადაიშალა, ჭიანჭველების, ხოჭოებისა და — მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტში თვითონაც არ იცოდა — მილიარდობით ბაქტერიის სამყარო, რომელშიც ეს არსებები მდუმარედ და შეუმჩნევლად ასრულებდნენ თავიანთ როლს და ასე კვებავდნენ ამ მიკრომსოფლიოს ეკონომიკას. უეცრად ბალახებში ჩაკარგული ეს პატარა ტყე ძალიან მრავალფეროვანი გამოჩნდა და მოხიბლული ბავშვის გონებამ მისი საიდუმლოს ამოხსნა დაისახა მიზნად. თავისი შეგრძნებების ინტერპრეტაცია მან რელიგიური კუთხით მოახდინა და საბოლოოდ ამ ყველაფერმა მღვდლობამდე მიიყვანა. მან მსახურება ანგლიკანურ ეკლესიაში დაიწყო და შემდგომში გახდა ჩემი სკოლის კაპელანი, ასევე მასწავლებელი, რომელიც ძალიან მიყვარდა. მისნაირი წესიერი ლიბერალი მღვდლე-

ბის დამსახურებაა, რომ დღეს ვერავინ იტყვის, თითქოს სკოლაში რელიგიას ძალით მახვევდნენ თავს.[6]

სხვა დროსა და ადგილას მეც იმ ბიჭის მსგავს სიტუაციაში აღმოვჩნდი: ვარსკვლავების ქვეშ, მოხიბლული ორიონით, კასიოპეათი და დიდი დათვით, ცრემლიანი ვუგდებდი ყურს ირმის ნახტომის ჩუმ მუსიკას, ვთვრებოდი ღამით აფრიკული ბაღიდან წამოსული პლუმერიასა და ბრუგმანსიას სურნელით. როგორ მოხდა, რომ ერთმა და იმავე ემოციამ მე და ჩემი კაპელანი სხვადასხვა გზით წაგვიყვანა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სულაც არაა ადვილი. ბუნებასა და სამყაროსთან კვაზიმისტიკური დამოკიდებულება ჩვეულებრივი რამ გახლავთ მეცნიერებისა და რაციონალურად მოაზროვნე ადამიანებისთვის. მას არანაირი კავშირი არ აქვს ზებუნებრივ რწმენებთან. ბიჭობის პერიოდში ჩემმა კაპელანმა სავარაუდოდ არ იცოდა (ისევე, როგორც მე) *სახეობათა წარმოშობის* დასკვნითი ხაზები, ცნობილი ფრაგმენტი: „ბუჩქებში მომღერალ ჩიტებთან, გარშემო მოფარფატე მწერებთან და ნოტიო მიწაში მოფუთფუთე ჭიებთან ერთად“. რომ სცოდნოდა, აუცილებლად გაავლებდა მათ შორის კავშირს და, ნაცვლად მღვდლობისა, შეიძლებოდა დასთანხმებოდა დარვინის მოსაზრებას, რომ ეს ყველაფერი „ჩვენ გარშემო მოქმედი ბუნების კანონების შედეგად შეიქმნა“:

აი, ასე, ბუნებაში მიმდინარე ომს, შიმშილსა და სიკვდილს, პირდაპირ მოჰყვება ყველაზე დიდებული შედეგი, რომლის წარმოდგენაც ჩვენ შეგვიძლია: უმაღლესი ცხოველების ჩამოყალიბება. რო-

---

6. გაკვეთილების დროს მონდომებით ვცდილობდით, თემა წმინდა წერილიდან სხვა რამეზე გადაგვეტანა და ვაყოლებდით ამაღელვებელ ამბებს გამანადგურებელი ავიაციისა და ფიუს შესახებ, რომლებიც ლონდონს ფაშისტებისგან იცავდნენ. ომის დროს ის სამეფო საჰაერო ძალებში მსახურობდა და მოგვიანებით იმავე სითბოთი, რომელიც ჯერ კიდევ გამაჩნია ინგლისის ეკლესიის მიმართ (მინიმუმ მის კონკურენტებთან შედარებით), ვიხსენებდი კაპელანს ჯონ ბეტჯემანის ლექსის კითხვისას:
Our padre is an old sky pilot, / Severely now they've clipped his wings, / But still the flagstaff in the Rect'ry garden / Points to Higher Things . . .
ჩვენი პადრე მოხუცი პილოტია, / ფრთები უკვე ძლიერ შეკვეცილი აქვს, / მაგრამ ფლაგშტოკი მის ბაღში / ისევ ზეცისკენაა მიმართული.

## გამომცემლობა „აქტის“ მიერ გამოცემული წიგნები

ფრიდრიხ ნიცშე —

1. ანტიქრისტე
2. Ecce Homo
3. დიონისეს დითირამბები
4. სიკეთისა და ბოროტების მიღმა
5. ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
6. კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

მერაბ მამარდაშვილი —

1. საუბრები აზროვნებაზე
2. სიმბოლო და ცნობიერება
3. კარტეზიანული განაზრებანი
4. ცნობიერება და ცივილიზაცია
5. ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
6. რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

სიორენ კირკეგორი —

1. შიში და თრთოლვა
2. სატანჯველის სახარება
3. ან/ან: ნაწყვეტი ცხოვრებიდან

ზიგმუნდ ფროიდი —

1. ეგო და Id
2. მოსე და მონოთეიზმი
3. ფსიქოანალიზის შესავალი

4. უკმაყოფილება კულტურით
5. მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
6. სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
7. ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია

ᲚᲔᲕ ᲨᲔᲡᲢᲝᲕᲘ —
1. უსაფუძვლობის აპოთეოზი
2. შემეცნების ფილოსოფია და თეორია
3. შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

ᲡᲕᲐᲛᲘ ᲕᲘᲕᲔᲙᲐᲜᲐᲜᲓᲐ —
1. კარმა-იოგა
2. ბჰაქთი-იოგა
3. შთაგონებული საუბრები
4. პატანჯალის იოგა სუტრა
5. ძველი ინდური ფილოსოფია
6. მედიტაცია და მისი მეთოდები

ᲙᲐᲠᲚ ᲘᲐᲡᲞᲔᲠᲡᲘ —
1. ნიცშე და ქრისტიანობა
2. ფილოსოფიის შესავალი

ᲑᲔᲠᲢᲠᲐᲜ ᲠᲐᲡᲔᲚᲘ —
1. ესეები
2. ქორწინება და მორალი
3. რატომ არ ვარ ქრისტიანი

ᲔᲠᲘᲮ ᲤᲠᲝᲛᲘ —
1. ადამიანის სული

ᲛᲘᲒᲔᲚ ᲓᲔ ᲣᲜᲐᲛᲣᲜᲝ —
1. ქრისტიანობის აგონია

ᲘᲛᲐᲜᲣᲔᲚ ᲙᲐᲜᲢᲘ —
1. მარადიული მშვიდობისკენ

ᲔᲓᲛᲣᲜᲓ ᲰᲣᲡᲔᲠᲚᲘ —
1. ამსტერდამული მოხსენებები

ᲮᲝᲡᲔ ᲝᲠᲢᲔᲒᲐ-Ი-ᲒᲐᲡᲔᲢᲘ —
1. ეტიუდები სიყვარულზე

ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲑᲔᲠᲓᲘᲐᲔᲕᲘ —
1. ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

ᲒᲣᲡᲢᲐᲕ ᲚᲔ ᲑᲝᲜᲘ —
1. მასების ფსიქოლოგია
2. ერების ფსიქოლოგია

ᲯᲘᲓᲣ ᲙᲠᲘᲨᲜᲐᲛᲣᲠᲢᲘ —
1. მედიტაცია
2. თავისუფლება ცნობილისგან
3. სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
4. პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

ᲝᲨᲝ —
1. სექსი
2. ცნობიერების მზე
3. საწყისთა საწყისი
4. სიყვარულის ძალა
5. რა არის მედიტაცია?
6. გზა სრულყოფილებისაკენ
7. სიცოცხლე, სიყვარული, სიცილი
8. სექსიდან სუპერცნობიერებამდე
9. მომავლის ადამიანის უფლებები

ალექსანდრე ბერკმანი —
1. ანარქიზმის ანბანი

ემა გოლდმანი —
1. ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი

დ. ჰ. ლოურენსი —
1. ფანტაზია არაცნობიერის თემაზე
2. ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

იულიუს ევოლა —
1. ომის მეტაფიზიკა
2. ვეფხვის მორჯულება

მაჰათმა განდი —
1. გზა ღმერთისაკენ
2. ეთიკური რელიგია
3. ჯანმრთელობის გასაღები
4. რას ნიშნავს იესო ჩემთვის

გიორგი გურჯიევი —
1. გრძნეულთა ბრძოლა
2. დანახული რეალური სამყაროდან
3. შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან
4. ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის
5. ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“

ნონა ხიდეშელი —
1. Carpe diem
2. მეტამორფოზა

ჯორჯ ბერკლი —
1. ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ

ავტორთა ჯგუფი —
1. სპინოზას ფილოსოფია

ირაკლი ბრაჭული —
1. ზეკაცის ჰერმენევტიკა

ჟან-პოლ სარტრი —
1. ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

ჯონ სტიუარტ მილი —
1. სოციალიზმი
2. თავისუფლების შესახებ
3. ქალთა დაქვემდებარება

გაბრიელ მარსელი —
1. იყო და ფლობდე

დევიდ ჰიუმი —
1. რელიგიის ბუნებრივი ისტორია

ლუდვიგ ბინსვანგერი —
1. ეგზისტენციალური ანალიზი

არმინ ნავაბი —
1. რატომ არ არსებობს არავითარი ღმერთი

ანი ბეზანტი —
1. კარმა
2. ბუდიზმი
3. ჯაინიზმი
4. თეოსოფია
5. მორალის საფუძვლები

6. ადამიანის შვიდი პრინციპი
7. ეზოტერული ქრისტიანობა თუ მცირე მისტერიები

რიჩარდ დოკინსი —
1. ღმერთის დელუზია

ელენა ბლავატსკაია —
1. თეოსოფიის გასაღები

რუდოლფ შტაინერი —
1. ეგოიზმი ფილოსოფიაში

ედუარდ ბერნეისი —
1. პროპაგანდა

ალფრედ ადლერი —
1. ინდივიდუალური ფსიქოლოგია

ვლადიმირ სოლოვიოვი —
1. ფილოსოფია | ხელოვნება

მარტინ ლუთერი —
1. ქრისტიანთა თავისუფლების შესახე
2. ქადაგება სიკვდილისთვის მზადების შესახებ

პაულ ტილიხი —
1. კულტურის თეოლოგია

სადჰგურუ —
1. შინაგანი ინჟინერია

ოსვალდ შპენგლერი —
1. გადაწყვეტილებათა წლები

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲣᲡᲞᲔᲜᲡᲙᲘ —
1. სასწაულებრივის ძიებაში

ᲐᲠᲢᲣᲠ ᲨᲝᲞᲔᲜᲰᲐᲣᲔᲠᲘ —
1. პესიმიზმი
2. ფილოსოფია